

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კომპიუტერული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოს დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს დებულება აწესრიგებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კომპიუტერული მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ს წესდების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების, ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

თავი I. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

მუხლი 2. სადისერტაციო ნაშრომი

- 2.1. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი.
- 2.2. დისერტაცია შესრულებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე სადისერტაციო ნაშრომის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
- 2.3. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატსა და სტილს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
- 2.4. დაცვის შემდეგ დისერტაცია უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. გამოქვეყნების ვადებსა და მექანიზმს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 3. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

- 3.1. სადისერტაციო ნაშრომი კომპიუტერული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა ორ აკინძულ და ერთ ელექტრონულ პირად.
- 3.2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - 3.2.1. განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;
 - 3.2.2. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კრედიტის დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - 3.2.3. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი ან დასაბეჭდად მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - 3.2.4. სამეცნიერო სემინარებისა და ფორუმების ნუსხა, სადაც მოხსენებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დებულებები თუ შედეგები;
 - 3.2.5. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოგონების (თუ ასეთი არსებობს) დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.
- 3.3. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვისათვის წარსადგენად.
- 3.4. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით – რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ერთი მაინც დადებითი „იმპაქტ-ფაქტორის“ (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით, ჟურნალის ISSN კოდის მითითებით) მქონეა. ერთი იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაცია შეიძლება

გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთ სადისერტაციო ნაშრომში. დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება მაშინაც, როცა ის მიღებულია დასაბეჭდად, რაც დასტურდება ჟურნალის რედაქციის მიერ გაცემული ცნობით ან გამოცემის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით.

მუხლი 4. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება

4.1. კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასებისათვის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სულ მცირე ორი შემფასებელი სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას (რეცენზიას) წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.

4.2. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის სპეციალობით (საერთაშორისო კლასიფიკატორით) გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე სამი ნაშრომი რეცენზირებად ჟურნალებში, მათ შორის ერთი ნაშრომი მაინც დადებითი “იმპაქტ-ფაქტორის” მქონე ჟურნალში. შემფასებელი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, სადაც შესრულდა სადოქტორო ნაშრომი, ან დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.

4.3. სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას შემფასებლები სადისერტაციო საბჭოს წარუდგენენ ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

4.4. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

4.5. თუ შემფასებელთა არანაკლებ ნახევარი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

4.6. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად.

4.7. სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს გადასცემს შემფასებლების დასკვნებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ატყობინებს დაცვის თარიღსაც. დოქტორანტს უნდა მიეცეს სულ მცირე 1 თვის ვადა დაცვისათვის მოსამზადებლად.

4.8. დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დანარჩენი დოკუმენტები უბრუნდება დოქტორანტს.

მუხლი 5. სადისერტაციო კომისია

5.1. სადისერტაციო საბჭო, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად ამტკიცებს სადისერტაციო კომისიას.

5.2. სადისერტაციო კომისია იქმნება სულ მცირე ხუთი პირის შემადგენლობით. კომისიის წევრად არჩეულ უნდა იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. ხელმძღვანელს და შემფასებლებს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება.

5.3. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს მიერ, სადისერტაციო კომისიიდან, არჩეული სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე.

5.4. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

5.5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს დაცვის თარიღამდე 10 დღით ადრე უგზავნის დოქტორანტის შრომათა სიას, სადისერტაციო ნაშრომს და ნაშრომის წინასწარ შეფასებებს.

მუხლი 6. დისერტაციის დაცვა

6.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო, ქართულ ენაზე. დაცვის მსვლელობა და მიღებული

გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

6.2. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:

6.2.1. დოქტორანტის მოხსენება (არაუმეტეს 30 წუთისა);

6.2.2. რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა;

6.2.3. სამეცნიერო დისკუსია;

6.2.4. კომისიის დახურული სხდომა – სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად;

6.2.5. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

6.3. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

6.4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

მუხლი 7. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება

7.1. სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ სადისერტაციო კომისია დახურულ სხდომაზე აფასებს სადისერტაციო ნაშრომს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- “ფრიადი” – „summa cum laude“
- “ძალიან კარგი” – „magna cum laude“;
- “კარგი” – „cum laude“;
- “საშუალო” – “bene”;
- “დამაკმაყოფილებელი” – “rite”;
- “არადამაკმაყოფილებელი” - “insufficienter”;
- “სრულიად არადამაკმაყოფილებელი” – “sub omni canone”;

ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის ხმას.

7.2. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება იქნება “არადამაკმაყოფილებელი” ან “სრულიად არადამაკმაყოფილებელი”. დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მუხლი 8. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

8.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დოქტორის დიპლომი.

8.2. დოქტორის დიპლომი გაიცემა არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში დისერტაციის დაცვის შემდეგ. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 9. დისერტაციის გამოქვეყნება

9.1. დოქტორანტი მოვალეა დისერტაციის დაცვის შემდეგ ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადაში გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.

თავი II. სადისერტაციო საბჭო

მუხლი 10. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

10.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიურ ხარისხს კომპიუტერულ მეცნიერებებში ანიჭებს კომპიუტერული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 11. სადისერტაციო საბჭო

11.1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

11.2. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კომპიუტერული მეცნიერებების დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.

11.3. თუკი დარგის/სპეციალობის პროფესორების და ასოცირებული პროფესორების საერთო რიცხვი 5-ზე ნაკლებია, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა შეიძლება შეივსოს მოწვეული წევრებით. სადისერტაციო საბჭოს მოწვეული წევრი უნდა იყოს შესაბამისი დარგის/სპეციალობის მეცნიერი, რომელსაც გააჩნია დოქტორის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი დარგის სამეცნიერო ნაშრომები, რომელთაგან ერთი მაინც გამოქვეყნებულია დადებითი "იმპაქტ ფაქტორის" (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით) მქონე ჟურნალში. სადისერტაციო საბჭოს მოწვეულ წევრებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

11.4. სადისერტაციო საბჭოს წევრები ირჩევენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს შემადგენლობიდან 3 წლის ვადით, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

11.5. სადისერტაციო საბჭოს მდივანს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო 3 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი სადისერტაციო საბჭოს მდივანად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 12. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

12.1. სადისერტაციო საბჭოს საქმიანობა წარიმართება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად.

12.2. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების სულ მცირე 2/3-ით.

12.3. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

12.4. სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით.

12.5. სადისერტაციო საბჭო იკრიბება სადისერტაციო ნაშრომის დაცვიდან არაუგვიანეს ერთ თვეში.

მუხლი 13. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

13.1. სადისერტაციო საბჭო:

13.1.1. ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს;

13.1.2. განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის თემას, სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

13.1.3. განიხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების კანდიდატურებს;

13.1.4. განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობასა და დაცვის სავარაუდო თარიღს და წარუდგენს დასამტკიცებლად სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს;

13.1.5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე განიხილავს და ამტკიცებს სადოქტორო ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების საკითხს;

13.1.6. განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილების თაობაზე მისი გარდაცვალების შემთხვევაში/ან თუკი დოქტორანტის დამტკიცებული სამეცნიერო ხელმძღვანელი დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე;

13.1.7. ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

13.1.8. განიხილავს წლიურ ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად.

მუხლი 14. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

14.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

14.1.1. სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს;

14.1.2. სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას და კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას;

14.1.3. სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დაცვის თარიღს;

14.1.4. იწვევს და ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;

14.1.5. ამზადებს წლიურ ანგარიშს.

მუხლი 15. სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილება

15.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას.

მუხლი 16. გარდამავალი დებულებები

16.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტს, რომელსაც დაგროვილი აქვს ყველა სასწავლო და სამეცნიერო კრედიტი და დოქტორანტურაში (ასპირანტურაში) ჩაბარებული აქვთ 2007 წლამდე, ნება დაერთოს წარადგინოს დისერტაცია დასაცავად თუკი გამოქვეყნებული სამი ნაშრომიდან ერთი მაინც გამოქვეყნებულია ჟურნალში, რომელიც იძებნება ISI Thomson Web of Knowledge ბაზაში.